ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

ГАЗЕТИ გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 293 (19734) | სამშაბათი, 23 დეკემბერი, 1986 წელი. | ◆ ფასი 3 კაპ.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით

ცხაკაიას რაიონის მშრომელები შრომითი მიღწევებით ამთავრებენ მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის წლიური გეგმები შეასრულონ 28 დეკემბრისათვის. მიაღწიონ სამრეწველო პროდუქციის მატებას 5 პროცენტით, გეგმის გადაჭარბებით აწარმოონ 700 ათასი მანეთის პროდუქცია. უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი ზრდა 5

ცხაკაიას რაიონის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი

პროცენტით. უზრუნველყონ სა- 140 ათასამდე, საგანგებო ... ხალხო მოხმარების საქონლის ... ზადება ერთ ... პირობით სულ წარმოების ზრდა 9 პროცენტ- მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე — 20 ცენტნერ საკვებ ერთ- ით, 20 პროცენტით გაადიდონ ეულამდე. გაადიდონ ყველა მეურნეობაში ძირითადი სასოფ- მეორეული რესურსებისა და ლო-სამეურნეო კულტურების ნარჩენებისაგან პროდუქციის მოსავლიანობა 5 პროცენტამ- გამოშვების მოცულობა, წარმ- დე.

ოების დანახარჯები შეამცირონ 111 ათასი მანეთით. მიაღწიონ რენტაბელობის დონის ამაღლებას გეგმის გადამეტებით 2 პროცენტით და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას 0,5 პროცენტით.

დანერგონ 25 რაციონალიზატორული წინადადება, 6 გამოგონება, რის შედეგადაც უზრუნველ ყ ო ნ 900 ათასი მანეთის ეკონომიკური ეფექტის მიღება.

სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერება გაზარდონ გეგმის გადამეტებით 4 პროცენტით. გადაჭარბებით შეასრულონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დავალებანი და 5-10 პროცენტით გაზარდონ პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის მოცულობა. გაადიდონ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჩასაბარებელი საშუალო წონა 312 კილოგრამამდე, ღორისა — 106 კილოგრამამდე. უხეში საკვების დამზადების მოცულობა გაზარდონ

მშენებლობაში გეგმის გადაჭარბებით შეასრულონ 300 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. დაჩქარდება ხალიჩების კომბინატის რეკონსტრუქცია-განახლების სამუშაოები. საექსპლოატაციოდ გადაეცემა საცხოვრებელი სახლი, საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი, საჭიდაო დარბაზი, საცურაო კომპლექსი და სხვა. გაზარდონ 13 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, ანუ გეგმის გადამეტებით 5 პროცენტი. შეასრულონ 60 ათასი მგზავრ-კილომეტრი.

კავშირგაბმულობის მომსახურება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით გაზარდონ 16 ათას მანეთამდე.

უზრუნველყონ საქონლებრუნვის ზრდა გეგმასთან შედარებით 0,5 პროცენტით, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა — 0,3 პროცენტით.

მიაღწიონ მოსახლეობის 70 პროცენტის დისპანსერიზაციას.

სოციალისტური ვალდებულებანი მიღებულია ცხაკაიას რაიონის შრომითს კოლექტივებსა და ორგანიზაციებში.

„კოლხეთი“, „ალბატროსი“, „ბაკლანი“...

ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელი ქარხნის კოლექტივის 1987 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

ხელმძღვანელობს რა პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელი ქარხნის კოლექტივი 1987 წლისათვის იკისრა შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი:

აწარმოოს და გაანაღდოს გეგმის გადაჭარბებით ათითასობით მანეთის პროდუქცია.

გაიზარდოს სამრეწველო წარმოების მატების ტემპი 3,3 პროცენტამდე.

შეასრულოს ხუთწლედის ორი წლის შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის.

გადააჭარბოს შრომის ნაყოფიერების ზრდის წლიურ დავალებას 0,7 პროცენტით და შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება 0,5 პროცენტით. მიიღოს 5 ათასი მანეთის დამატებითი მოგება.

ააშენოს „კოლხეთის“ ტიპის 4 წყალქვეშაფრთიანი თბომავალი.

მშენებლობის ნაკადურ-პოზიციური მეთოდის გამოყენებით ააგოს და საექსპლოატაციოდ გადასცეს 50 თევზსარეწი ბოტი „ბაკლანი“.

დაზოგოს გეგმის დამატებით 10 ტონა შავი ლითონის ნაგლინი, 8 კუბური მეტრი ხის მასალა, 5 ტონა დიზელის სათბობი, 5 ტონა ავტობენზინი, 90 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 80 ჰექტოკალორია: იმუშაოს წელიწადში ორ დღეს დაზოგილი მასალა-ნედლეულით.

წარადგინოს ხარისხის დარგობრივი კატეგორიის ატესტაციაზე „ატლანტიკის“ ტიპის გემების მთავარი ძრავები.

აწარმოოს და გაანაღდოს გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი, გაუწიოს მოსახლეობას 200 ათასი მანეთის ფასიანი მომსახურება.

დანერგოს რიცხული პროგრამული მართვის უნიკალური ჩარხი „კოლხეთის“, „ალბატროსის“ და „ბაკლანის“ კორპუსთა ელემენტების ნამზადების გამოსაშვებად.

შეასწავლოს მეორე სპეციალობა, მოამზადოს და გადაამზადოს 110 მუშა, კვალიფიკაცია აუმაღლოს 250 კაცს.

დადოს 150 დამრიგებლობის ხელშეკრულება. 1,7 პროცენტით შეამციროს კადრების დენადობა.

განახორციელოს დამხმარე მეურნეობის შემდგომი გაფართოება, აწარმოოს 35 ტონა ხორცი და 6 ტონა ბოსტნეული. უზრუნველყოს ახალი სასმელი წყლის ამოქმედება 1987 წლის მეორე კვარტალში.

შექმნას ჯანმრთელობის საქართველო ჯგუფი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიოს ფოთის პიდრომექანიზაციის მანქანათასაშენებელი ქარხნისა და სვერდლოვსკის გემთშემკეთებელი ქარხნის კოლექტივები.

სოციალისტური ვალდებულებანი მიღებულია ქარხნის კოლექტივის საერთო კრებაზე. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მკაცრი კონტროლი დავუწესოთ პირუტყვის ზამთრობას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა სამტრედიის, ასპინძისა და თიანეთის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვის ზამთრობის მომდინარეობისა და მეცხოველეობის მდგომარეობის საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ზამთრობის პირველი თვის შედეგების მიხედვით, სამტრედიის რაიონის 16 მეურნეობიდან რძის წარმოებას უკლო ცხრა მეურნეობამ, ხოლო საშუალო წველადობას — რვამ. რაიონში ჯერ-ოვანი ყურადღება არ ეთმობა საკვების რაციონალურ ხარჯვას. არ აბორიგელებენ ღონისძიებებს საკვების უყათიანობის გასადიდებლად. სოფელ დიდი ჯიხაშის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“, ლენინის სახელობის კოლმეურნეობასა და გომის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში პირუტყვს აძლევენ დაუმუშავებელ უხეშ საკვებს, თუმცა მეურნეობებს აქვთ საკვების საამქროები. მთელი რიგი მეურნეობანი ზამთრობას მოუმზადებელნი შეუდგნენ. სამტრედიის მეფრინველეობის ფაბრიკაში არ დამთავრებულა სარემონტო სამუშაოები, სადგომებში არ არის უზრუნველყოფილი საჭირო ტემპერატურა. კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ ფერმაში მეცხოველეებს არა აქვთ შექმნილი შრომისა და ყოფის სათანადო პირობები.

სერიოზული ხარვეზებით დაიწყო პირუტყვის ზამთრობა ასპინძის რაიონში. ოქტომბერში ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მოყიდვის მოცულობამ იკლო შესაბამისად 75 და 47 ტონით, შემცირდა ხბორებისა და ბოჭვების ნამატი, გაიზარდა ღორის გაწყდომა. ამავე პერიოდში მარტო რვა მეურნეობამ სახელმწიფოს 14,5 ტონა რძე დააკლო. საწარმოო მაჩვენებლების გაუარესება, ძროხის პროდუქტიულობის კლება განაპირობა პირუტყვის მოვლა-შენახვისა და კვების უყურადღება დაბალმა დონემ. პირუტყვის სადგომების უმრავლესობა არ არის შეკეთებული და დათბუნებული. შემოწმებულ მეურნეობებში ჩაშლილია ზოოტექნიკური და საბუღალტრო აღრიცხვა. უხარისხოდ ეწყობა პირუტყვის ინვენტარიზაცია. სოფელ ნაჭალაქევის კოლმეურნეობაში მიმდინარე წლის ნოემბრისათვის საკვობოდ არ შეუდგენიათ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და მოძრაობის ამსახველი დოკუმენტები. საშუალო წველადობის მაჩვენებლის ხელოვნური წამატების მიზნით მაისში ამ მეურნეობაში „გაიფორმეს“ ათი ფურის გადაყვანა მეწველი ჯგუფიდან სასუქებელში. დაბა ასპინძის კოლმეურნეობაში ურიგდებიან ფატებს, როდესაც შემოსავალში არ ატარებენ მოგებულ ხბორებს, არ ადგენენ რძის წარმოების უწყისებს, არ აღრიცხავენ მიღებულ ყველს, აგრეთვე გადასამუშავებლად ჩაბარებულ რძეს.

თიანეთის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ასევე ვერ შეძლეს აემაღლებინათ მეცხოველეობაში მუშაობის დონე. 1985 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მმდინარე წლის 10 თვის მანძილზე რაიონში შემცირდა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსთვის მიყიდვის მოცულობა. ცალკეულ სახეობათა საკვების დამზადების მოცულობის ერთგვარი ზრდის მიუხედავად, მთლიანად რაიონში საკვები მომარაგებულია გეგმის 89 პროცენტი (საკვები ერთეულებით). შესაბამისად 64 და 29 პროცენტით შესრულდა თივისა და სილოსის დამზადების გეგმები. ზამთრობის პირველი თვის შედეგების მიხედვით, ხორცის წარმოების მოცულობა აქ შემცირდა 377 ტონით, რძისა — 10 ტონით, ერთ ფურზე მიღებულია 7 კილოგრამით ნაკლები რძე, გახშირდა საქონლისა და ღორის გაწყდომა.

აღნიშნული რაიონების აგროსამრეწველო კომბინატმა არასაკმარისად ცნო მუშაობა, რომელსაც პარტიის სამტრედიის, ასპინძისა და თიანეთის რაიკომები და ამ რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებანი ეწევიან პირუტყვის ორგანიზებული გამოზამთრების უზრუნველსაყოფად, და აღნიშნა, რომ იგი სრულად არ შეესაბამება ამოცანებს, რომლებიც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის წინაშეა დასახული მეცხოველეობის განვითარებისა და საკვები ბაზის განმტკიცებისათვის.

პარტიის რაიკომებს დაევალათ მოახმარონ მეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მეცადინეობა შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, მეცხოველეთა შორის ფართო შეჯიბრების გაჩაღებას, მთელი ძალებისა და რეზერვების მობილიზაციას იმისათვის, რომ გაიზარდოს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა და მესყიდვა, იმიტომ პირუტყვის პროდუქტიულობამ გამოზამთრების დამლეგისათვის.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ ქმედითი კონტროლი პირუტყვის ზამთრობის მმდინარეობისადმი, გააანალიზონ და მკაცრად შეიფასონ მისი ორგანიზაციის ხარვეზები და ნაკლოვანებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის სახაგრომრეწვს დაავალა განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი დარგში სამმის მდგომარეობის გამოსასწორებლად, მიაღწიოს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდას. (საქინფორმი).

სასმელება მეურნეობრიობის ხელახალი ორიენტაციაა

ახალგაზრდები მარჯვედ შრომობენ

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათასაშენებელი ქარხანა პირველი იანვრიდან მთლიანად გადავა პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე. საწარმოსათვის ეს დიდი პატივია, ამასთან მოითხოვს კოლექტივის მთლიანად მობილიზებას, რათა მომხმარებელს მაღალი ხარისხის პროდუქცია მიაწოდოს.

ხარისხისათვის ზრუნვას ახლა ქარხანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ საქმეში ჩაბმულია ყველა, მათ შორის № 2 მექანიკური საამქროს წუნმდებელი მანონ გორგიაშვილი, იგი საამქროს კომკავშირის მდივანია, შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობას კარგად უთავსებს ერთმანეთს. ამიტომაც არის, რომ მშობლიურმა კოლექტივმა ახალგაზრდა ქალიშვილი ოქტომბრის რაიონის კომკავშირის კონფერენციის დელეგატად აირჩია.

გოჩა ბაქრაძე მოწინავე ელექტროშემკეთებელია, იგი შრომობს და ამასთან სჯერთველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სალამოს დაუსწრებელი ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია. იგი დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებს, არის ოქტომბრის რაიონის მეცხრამეტე მოწვევის საბჭოს დეპუტატი.

სურათებზე: გოჩა ბაქრაძე და მანონ გორგიაშვილი.

ჯ. ლომაძის ფოტო.

მოძღვრება, რომელსაც ქართა სვლა ვერაფერს დააკლებს

მეოცე საუკუნის გამოჩენილ მეცნიერთა სახელებს შორის საუდამოდ არის ჩაწერილი შესანიშნავი საბჭოთა ფსიქოლოგისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სახელოვანი შვილის აკადემიკოს დიმიტრი ნიკოლოზის ძე უზნაძის სახელი. მსოფლიოში აღიარებული ქართველ ფსიქოლოგთა სკოლის ფუძემდებლის დაბადების ასი წლისთავს ფართოდ აღნიშნავს რესპუბლიკისა და ქვეყნის საზოგადოებრიობა.

22 დეკემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა აკადემიკოს დ. ნ. უზნაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

სცენის სიღრმეში მოჩანს ყვავილების ჩარჩოში ჩასმული მეცნიერის დიდი პორტრეტი. პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ჯ. ი. პატაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ნ. ენუქიძე, ნ. ა. ჩხეიძე, საიუბილეო კომისიის წევრები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიდან, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსული თვალსაჩინო მეცნიერები.

საღამო გახსნა საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ე. ხარაძემ.

საიუბილეო საღამოზე გამოვიდნენ თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ამაღლობელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი მ. ნადირაშვილი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პროფესორი ე. შოროხოვა, ზალცბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ე. როტი, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამ აკადემიის ნამდვილი წევრი, ა. ბოდალევი, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი დ. კოდიმი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე, ქალაქ ოსაკის უნივერსიტეტის პროფესორი ი. კავაგუჩი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ჯავაშვილი, რომლებმაც ილაპარაკეს მეცნიერის შემოქმედებითი ძიების ფართო და მრავალმხრივ დიალაზონზე, მის აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობაზე, უდიდეს წვლილზე საბჭოთა ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება-განვითარებაში, ქართული ფილოსოფიური სკოლის შექმნაში.

მეცნიერებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დ. ნ. უზნაძის გამოკვლევებმა ახალი თავი დაიწყეს ფსიქოლოგიის მეცნიერებაში. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში ექსპერიმენტული პედაგოგიკის ჩამოყალიბება-განვითარებაში, ფილოსოფიაში, ენათმეცნიერებაში. მეცნიერების ამ დარგებში მის კვლევა-ძიებას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა. ქართველი სწავლულის მეცნიერულ მემკვიდრეობას სწავლობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩეხოსლოვაკიაში, კანადაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში...

საიუბილეო საღამოზე ბევრი გულთბილი სიტყვა ითქვა გამოჩენილ მეცნიერსა და მოქალაქეზე, რომლის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა არის მეცნიერების, საზოგადოების, საკუთარი ხალხისადმი თავდაუზოგავი სამსახურის მკაფიო მაგალითი.

• • •

იმავე დღეს თბილისში გაიხსნა დ. ნ. უზნაძის სახლ-მუზეუმი. კამოს ქუჩა, № 91, აქ, ბინაში, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა აკადემიკოსი, თავმოყრილია მეცნიერის მსოფლიოს მრავალ ენაზე გამოცემული მრავალრიცხოვანი შრომები, მონოგრაფიები, მისი ცხოვრების ამსახველი ექსპონატები.

დ. ნ. უზნაძის სახლ-მუზეუმის გახსნას დაესწრნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, გ. ნ. ენუქიძე.

• • •

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკვერში გაიმართა მი-

(დასასრული მე-2 გვ.)

სუსხიანი სტრიქონები

ფული კი საბაგირო გზას... ხმარდება

ასი ათასი მანეთითა და მეტად გაღარიბდა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მახუნჯის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის სალარო. ფული ბორტგანმზრახველებს არ გაუტანიათ, და სისხლის სამართლის საქმე ამის გამო აქ არ აღუძრავთ, აღნიშნული თანხა საბჭოთა მეურნეობამ საამორტიზაციო გადარიცხვის გრაფით გადაიხადა არარსებული მონორელსური გზის ექსპლოატაციისათვის. უფრო სწორად, გზა არსებობს, მაგრამ არ მუშაობს. მაგრამ მისი დიდი საბალანსო ღირებულების გამო გადარიცხვის წესით მეურნეობა ყოველ წელიწადს ათ პროცენტს იხდის საერთო შემოსავლიდან. ახლაც საბჭოთა მეურნეობა ბანკში გადარიცხავს სულ ცოტა 10 ათას მანეთს, რაც გაანეგლავს მოახდენს სამონორო პროდუქციის თვითღირებულებაზე. გამოანგარიშებულია, რომ ამ მიზეზით ცენტნერი მანდარინი ყოველწლიურად 50 კაპიკით ძვირდება.

თავდაპირველად კი — ათი თუ თერთმეტი წლის წინათ მეციტრუსეთა სიხარულს, როგორც იტყვიან, საზღვარი არ ჰქონდა — მაშინ საბჭოთა მეურნეობაში შემოზიდეს ყველა მაკომპლექტებელი ნაწარმი. სპეციალისტებმა სწრაფად დაამონტაჟეს მონორელსური გზა ციტრუსის ბაღების ყველაზე ციცაბო უბნებზე. მისმა საერთო სიგრძემ, თავმოყრილი მზიურის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის ნაკვეთებსაც დაუმატებთ, 27 კილომეტრი შეადგინა. გზა დაახლოებით ორი წელი მოქმედებდა, ეფექტიანად ემსახურებოდა ადამიანებს. მეცტრუსეებს ამ გზით მთაში მიჰქონდათ ტორფი, მინერალური სასუქები, მოსავლის კრეფის დრო კი როცა დადგებოდა, ამ გზით ჩამოაქონდათ ფერდობ ტერასებზე გაშენებული მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის ბაღებიდან ოქროსფერი ნაყოფი. მახუნჯიის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც მონორელსური გზის სიგრძე 13 კილომეტრს შეადგენდა, ტვირთი მიჰქონდათ ისეთ ციცაბო ფერდობებზე, რომლებზეც არათუ ტრაქტორით, ცხენითაც კი ჭირს ასვლა.

მაგრამ აი დადგა გზის პროფილაქტიკური რემონტის პერიოდი. აქედან იწყება მთელი უბედურება. მოძრავი მექანიზმის სათადარიგო ნაწილები ვერ იშოვეს, ისევე როგორც ვერ იშოვეს ინსტრუმენტებიც. საკუთარი ძალებით საბჭოთა მეურნეობის მექანიკოსებმა ვერ შეძლეს გარემონტება. მოტორები ხომ იმპორტულია, მათი ცალკეული კვანძების შემცვლელები კი არა აქვთ. რამდენჯერ სთხოვეს მეციტრუსეებმა იმ წლებში დახმარება რესპუბლიკის ყოფილ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

ასე დგას უკვდ უკვე ათი წელია მონორელსური გზა. ყველა სატვირთო ოპერაციას მეციტრუსეები ძველებურად ასრულებენ: ზურგით აქვთ მთაში სასუქიანი ტომრები, ასევე ჩამოაქვთ ტერასებიდან მანდარინის მოსავალი.

რომელ ორგანიზაციას არ მიმართეს მეციტრუსეებმა და მოითხოვეს მონორელსური გზის აღდგენა. უმოქმედო ნაგებობა რესპუბლიკის ტელევიზიითაც აჩვენეს. მაგრამ მდგომარეობა არ შეცვლილა.

მახუნჯიელი მეციტრუსეები, ისევე როგორც მზიურისა და ოქტომბრის საბჭოთა მეურნეობების მშრომელები, შესაძლებლად თავდაპირველად ესოდენ ამედისმომცემ რკინის პირმშოს და ფიქრობენ, ნეტავ რამდენ ხანს გაგრძელდება კიდევ ასეთი მდგომარეობა?

თ. ჯიბუტი,
საქინფორმის კორ.

შეხვედრები ალმაათელ მშრომელებთან

ალმა-ათა, 20 დეკემბერი. (საკდისი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი, რომელიც ალმა-ათაში იმყოფება, და ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. კოლბინი დღეს შეხვდნენ ქალაქის მშრომელებს.

დღის პირველ ნახევარში ისინი ეწვივნენ ცენტრალურ საკოლმეურნეო ბაზარს, სადაც გაეცნენ ვაჭრობის ორგანიზაციასა და საქონლის ასორტიმენტს, ესაუბრნენ გამყიდველებს, სოფლის მშრომელებსა და მებაღეობის კოოპერატივების წევრებს, რომლებიც წარმოუდგნენ პროდუქციის ნამეტს მომხმარებელს აწვდიან. მ. ს. სოლომენცევმა აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა სახელმწიფო, კოოპერაციული და ინდივიდუალური ვაჭრობისა და საქონლის ხარისხის გაუმჯობესების, ფასების შემცირების ეკონომიკური ბერკეტების სრული გამოყენების მარჯვე შეხამება, შეეხნენ ქალაქისა და სოფლის კავშირის განმტკიცების, სასურსათო პროგრამის პრაქტიკულ რეალიზაციაში საერთო წვლილის გადრდების, მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საკითხთა ფართო წრეს.

შემდეგ მ. ს. სოლომენცევი და გ. ვ. კოლბინი ეწვივნენ თვითმმართველობის უნივერსალურ მაღაზიას. ქალაქის ერთ-ერთი უდიდესი მაღაზიის კოლექტივმა დაეერგა ვაჭრობის პროგრესული ფორმები: დაფასოებული პროდუქტების გაყიდვა, სავაჭრო დარბაზში მათი კონტეინერებით მიტანა და სხვ. კოლექტივი მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს საქონელბრუნვის გეგმებს.

აღნიშნა რა მომსახურების გაზრდილი კულტურა, მ. ს. სოლომენცევმა თქვა, რომ კიდევ უფრო მტკიცედ და მიზანშმართულად უნდა იღვაწონ ასორტიმენტის გაფართოებისათვის, მეცხოველეობის, მეკარტოფილეობისა და მებოსტნეობის პროდუქტების წარმოებისა და გაყიდვის გადიდებისათვის.

ყაზახეთის ს. მ. კიროვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ყაზახეთის ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სესხმრის დროს მ. ს. სოლომენცევი და გ. ვ. კოლბინი შეხვდნენ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობასა და სტუდენტებს, დაათვალიერეს სასწავლო კორპუსები, გამოიკითხეს, თუ როგორ მიმდინარეობს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების რეფორმის საფუძველზე აღმზრდელობითი, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის გარდაქმნა, როგორ მონაწილეობს ახალგაზრდობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, შრომითსა და სპორტულ ცხოვრებაში, როგორ არის მოგვარებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, როგორ მტკიცდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

პროფესორებთან, მასწავლებლებთან, სტუდენტებთან საუბრისას ითქვა, რომ უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირონ მომავალ სპეციალისტთა მომზადება წარმოების საჭიროებებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტულ, კომპლექსურ მიდგომას იდეურ-ზნეობრივი, ინტერნაციონალური აღზრდის, მოძმე რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებთან კავშირის განმტკიცების, უმაღლესი სასწავლებლების პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციათა მებრძოლურობის გადიდებისა და ინიციატივის განვითარების საკითხებისადმი.

ქალაქში მოგზაურობისას მ. ს. სოლომენცევთან და გ. ვ. კოლბინთან ერთად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ე. ზ. რაზუმოვი, პარტიის ალმა-ათის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ს. მენდიბაევი.

ალმა-ათა, 21 დეკემბერი. (საკდისი). დღეს ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, რომელს მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. კოლბინი, განიხილეს საკითხი ხუთწლედის პირველ წელს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის წარმატებით შესრულებისა და მომავალ წელს მუშაობის დაწყებისათვის მზადების დამთავრების ღონისძიებათა შესახებ.

განხილვისას მთავარი ყურადღება დაეთმო რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

მრავალი საწარმო ურიტმოდ მოქმედებს, უშვებს უხარისხო პროდუქციას, ვერ ასრულებს მისი რეალიზაციის გეგმას, ურიგდება სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევას.

დამხმარეწარმეები არ არის საქმის ვითარება აგროსამრეწველო კომპლექსშიც. ნელა მატულობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. წელს სახელმწიფოს დაავლდა მნიშვნელოვანი რაოდენობის კარტოფილი, შაქრის ჭარხალი, ხამი ბამბა. არის პირუტყვის გაწყდომის აშკარა საფრთხე, მცირეა მისი პროდუქტიულობა, მოსავლის არსებითი დანაკარგები ხდება ტრანსპორტირებისა და დაცვის პროცესში.

სერიოზულ ნაკლოვანებებს ურიგდებიან მშენებლობაში, ვაჭრობაში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურებაში. ვერ სრულდება საბინაო მშენებლობის გეგმები.

გამოვლინეს რა ეს და სხვა ნაკლოვანებანი, სხდომის მონაწილეებმა აუურადღება მიაპყრეს მათი აღმოფხვრის, წარმოების ეფექტიანობის ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართო დანერგვის გზების ძიებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სახალხო მონმრავის საქონლით მოსახლეობის უფრო სრულ დაკმაყოფილებას, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას. მკაცრად გააკრიტიკეს გულარხეინობის, უპასუხისმგებლობის, სხვადასხვა ნეგატიურ გამოვლინებათა ჯერ კიდევ არსებული ფაქტები.

სხდომაზე გამოვიდნენ მ. ს. სოლომენცევი და გ. ვ. კოლბინი.

ნაშუადღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი და ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. კოლბინი, ეწვივნენ ყაზახეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, ისინი გაეცნენ უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროცესის ორგანიზაციასა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, შეხვდნენ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობასა და სტუდენტებს. საუბრისას ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა მნიშვნელოვნად სრულყონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი და სოფლის მეურნეობისათვის სპეციალისტთა მომზადების ხარისხი, ინტერნაციონალური, იდეურ-ზნეობრივი და შრომითი აღზრდა, მაქსიმალურად მიუახლოონ სტუდენტთა სწავლება გარდაქმნის, აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების, სასურსათო პროგრამის რეალიზაციის ამოცანებს.

მ. ს. სოლომენცევთან და გ. ვ. კოლბინთან ერთად იყო პარტიის ალმა-ათის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ს. მენდიბაევი.

ვისწავლოთ, რათა ვასწავლოთ...

მასწავლებელს ანდობენ ადამიანები ყველაზე ძვირფასს — თავიანთ შვილებს. იგი, როგორც ადამიანის სულის ინჟინერი, ქცევითა და ინტელექტით ბევრად უწყობს ხელს ახალგაზრდა თაობის ზნეობრივი საფუძვლების ჩამოყალიბებას. პედაგოგს ჰბადავენ, სურთ დაემსგავსონ მას, ზოგიერთი მათგანის ხსოვნა მთელი სიცოცხლის მანძილზე თან მიჰყვება ადამიანს. ეს კი თანამედროვე მასწავლებლისაგან მოითხოვს, მაღალ პროფესიულ მომზადებას. ჩვენი მორალური პრინციპების განუხრელ დაცვას.

ამ პოზიციებიდან განიხილეს თავიანთი ამოცანები თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პარტიული აქტივის კრების მონაწილეებმა. გასაანალიზებელი პრობლემების ბევრი მისამართი ნაკარნახევი იყო უმაღლესი სკოლის საკითხებისადმი მიძღვნილი საქართველოს ამსრწინანდელი პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებებით, აგრეთვე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის მიერ ამ უმაღლესი სასწავლებლის კომპლექსური ინსპექტირების დროს გამოთქმული შენიშვნებით. სწორედ ამიტომაც მომხსენებელმა — ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა რ. ვ. მეტრეველმა, ორატორებმა — რუსული ენის კათედრის გამგემ. დოცენტმა ო. კ. ბალიაშვილმა. ბუნებისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტმა მ. მ. ახთამემ და სხვებმა, მთელი ყურადღება მიაპყრეს უმაღლესი სასწავლებლის მუშაობაში არსებულ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს, კერძოდ, აღინიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად უნდა გაძლიერდეს აუურადღება მომავალ სპეციალისტთა პრაქტიკული მომზადებისადმი. ამავე დროს სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკა ძირითადად, ეწყობა საქალაქო სკოლებში, თუმცა კურსდამთავრებულთა უმრავლესობა სამუშაოდ სოფლში იგზავნება.

თვითდამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს არც **სწავლების ხარისხობრივი მაჩვენებლები.** 1985-1986 სასწავლო წლის გადასაყვანი გამოცდების შედეგად 104 სტუდენტს, ანუ მათი საერთო რიცხვის თითქმის ხუთ პროცენტს აკადემიური დავალიანება აქვს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ დაუსწრებელი განყოფილების კონტინგენტში ცოტაა სტუდენტები, რომლებიც არჩეული სპეციალობით მუშაობენ, სკოლასთან მათ არაფერი არ აკავშირებთ. აღინიშნა აგრეთვე იმის საჭიროება რომ გადასინჯონ მიღება კომისიების შემადგენლობა. მრავალი მასწავლებელი ხომ ათობით წელია მიმღები კომისიების წევრია, ზოგიერთებისათვის ეს მეორე პროფესიაც კი გახდა.

კრებაზე მოიყვანეს ასეთი ფაქტები: პროფესორ-მასწავლებელთა საშუალო ასაკი შეადგენს 53 წელს, დოცენტებისა და კათედრების გამგეებისა კი უფრო მეტსაც — თითქმის 60 წელს. არავინ არ მოითხოვს კადრების საყოველთაო გაახალგაზრდავებას, რასაც ხშირად მოსდევს ტრადიციების დაკარგვა, სწავლების საერთო დონის შემცირება. მაგრამ უფროსი თაობის შესანიშნავ მეცნიერებთან და პედაგოგებთან ერთად, რომლებთანაც სწავლა-ამაყობს თითოეული სტუდენტი, უნდა მოვიზიდოთ ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანებიც, რომლებიც სულისკვეთებით ახლოს არიან ახალგაზრდობასთან. ამავე დროს მასწავლებელთა ახალი ცვლის მომზადებისათვის ინსტიტუტში ჯერჯერობით საკმარისად არ ზრუნავენ. განა დასაშვებია, რომ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე აქ ასპირანტურადამთავრებული 30 კაციდან დისერტაცია მხოლოდ ექვსმა დაიცვა.

ფორმალიზმი და ინდიფერენტულობა უნდა აღმოიფხვრას თითქმის ყოველ კათედრაზე შექმნილი პარტჯგუფების, პირველადი კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაშიც. არადა, ასეც ხდება: რიცხავენ სტუდენტს ინსტიტუტიდან, მისი საკითხი კი არც ერთხელ არ განხილულა არც პარტიულ, არც კომკავშირულ, არც პროფკავშირულ ორგანიზაციას.

სერიოზული პრეტენზიები წაუყენეს ინსტიტუტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციასაც. ავადაა, არ ნუშავდება. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა
ფაქტები • მოვლენები

ორიოდ სიტყვით

◆ **თბილისის** კინოს სახლში გამართულ საღამოსათვის სამართლიანად შეიძლება გვეწოდებინა საერთაშორისო. მაგრამ სირიიდან ჩამოსულ სტუმრებსა და თბილისში მცხოვრებ ქურთებს შორის ენობრივი ბარიერი არ ყოფილა. შეხვედრა მოწყო საბჭოთა კავშირ-სირიის ერთობლივი ფილმის „ახალი აღმოსავლეთის ისტორიის“ შექმნაზე მომუშავე შემოქმედებითი ჯგუფის წევრთა თხოვნით. ფილმის გადაღება მიმდინარეობს თბილისში. გადამღებ ჯგუფში, ჩვენი ქვეყნის ეკრანის ოსტატებთან ერთად მონაწილეობენ სირიელი კინემატოგრაფისტებიც.

საღამოზე აჩვენეს სურათი „ჩვენ, ქურთები“, რომელიც საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანეში“ გადაიღო რეჟისორმა გია ჭუბაბრიამ. ფილმი ეძღვნება საქართველოში მცხოვრებ ქურთებს.

◆ **ხომალდებსაც** აქვთ ბიოგრაფია, განვლილი მილებით, გადასერილი ზღვებითა და ოკეანეებით რომ „იწერება“.

ძაღზე საინტერესოა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ყველაზე ვეტერანი ტანკერის „ჩაღლოვის“ წარსული.

ახლახან „ჩაღლოვს“ 30 წელი შეესრულდა, რაც საკმაოდ ხანგრძლივი ასაკია გემისთვის. ამ ხნის მანძილზე ხომალდმა მილიონი მილი დაფარა და ამდენივე ტონა ტვირთიც გადაზიდა. იმ დღეს კი ნაღვლიანად ჩაუშვა ღუზა ბათუმის ნავსადგურში შორი გზით დაბრუნებულმა „ჩაღლოვმა“.

უმძიმდათ მშობლიურ ხომალდთან განშორება მეზღვაურთ...

საბოლოოდ მაინც არ გასწირეს „პენსიონერი“ ხომალდი, ჯერ კიდევ შესწევს ძალაო, და აზოვის სანაოსნოს გადასვეს. ასე რომ, სასწავლო მიზნით იგი კვლავაც გამოადგებათ ზღვაოსნებს, —მრავალ ახალბედას დააფრთიანებს და დაუღოვავს მეზღვაურის ძნელ და რომანტიკულ გზას.

◆ **კურორტ** „საირმეში“ პირველი დამსვენებლები მიიღო ახალმა კეთილმოწყობილმა სანატორიუმმა. აქ ერთდროულად 150 კაცს შეუძლია დასვენება და ჯანმრთელობის აღდგენა.

◆ **ფოთში** ახლახან გახსნილ ფეხსაცმლის ინდივიდუალური კერვის სახლში უკვე ერთჯერქვეშაა თავმოყრილი მანამდე დაქსაქსული ნვრილწვრილი სახელოსნოები. შენობის პირველ სართულზე ექსპონირებულ ნიმუშთა მიხედვით შემკვეთს შეუძლია შეარჩიოს მისთვის სასურველი ფასონი.

◆ **კურორტ** წყაღტუბოს ახლახან რეკონსტრუირებულ ვენტრს ორგანულად შეეხამა ახალი კინოსაკონცერტო ნაგებობა, რომლის დარბაზებში მსურველთა ფიიმების ნახვაკ შეუძლიათ და ესტრადის მსახიობთა მოსმენაც. მყუდრო ბარში კი მათ ხიღის კოქტეიღითა თუ ფინჯანი ყავით გაუმასპინძღღებიან სეანსისა თუ კონკერტის დაწყებამდე.

◆ **გოეთეს,** შიღერის, ჰაინეს, ბრეხტის ნაწარმოებებსა და ქართველ პოეტთა გერმანულ თარგმანებს ღიდი ინტერესით უსმენენ საქართველოს საზღვარგარეთთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების სააქტო დარბაზში შეკრებილნი — საქართველოს გოეთეს მოყვარულთა საზოგადოების წევრები და თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის წარმომადგენლები.

ნორჩმა ღეკლამატორებმა— სასახლის უცხოური ენების კაბინეტთან არსებული კლუბის „პოლიგლოტის“ წევრებმა დამსწრეთა მოწონება დაიმსახურეს.

◆ **„შემოდგომა“** ჰქვია ახალ უალკოჰოლო სასმელს, რომლის გამოშვებაც აითვისა ზესტაფონის ხიღის წყლების ქარხანამ.

„იზაბელას“ ბაზაზე დამზადებული ამ სასმელის პირველი პარტია უკვე გაიგზავნა სავაჭრო ქსელში.

დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სახალხო მეურნეობისათვის სპეციალისტთა მომზადების მეთერმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოდნენ:

ფირცხალავა გერასიმე სამსონის ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი — ლენინის ორდენით;

ღოლაძე თეიმურაზ ნიკოლოზის ძე — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი — ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სიკეთე— უსამაგროდ

რა არ გამოდის მისი ხელიდან — საოჯახო ნივთები, ოქმლები, ღვარსადენები, ერთს დახედავს დაზიანებულ ნივთს, და უმალ გამოიცნობს მის სატკივარს — ოსტატის მიერ თვალდადგმული, მუშაობას ახალივით იწყებს.

სევასტოპოლის ქუჩაზე მის სახელოსნოსთან ყოველდღიურად უამრავი ხალხი ირეკება, მოდიან წამზღარი გუნებაგაწყობილებით, შინ კი გახარებულნი ბრუნდებიან. ოსტატ-ხელოსანი მუდამ სახეგამოძღარი ეგებება ადამიანებს, დაპირებით კი ტყუილად არავის არაფერს დაპპირდება, იცით ეს შრომელებმა და მარჯვენასთან ერთად კაცობასაც უკმენენ.

განსაკუთრებით მადლიერნი არიან დიდი სამამულო ომის ინვალიდები — კაცი ეს არის და ქუდიც მაგას ახურავსო, — ამბობენ ისინი.

რა ხდება, რატომ მაინცდამაინც ომის ინვალიდები?

რა ხანია ოსტატმა წესად დაიერგა — "სამამულო ომის ინვალიდებს მოემსახუროს პირველ ყოვლისა, თანაც უფასოდ. რაო, არ ეკუთვნით? ისინი რომ იბრძოდნენ ჩვენთვის, ჩვენი თავისუფლებისა და უკეთესი ცხოვრებისათვის, ამიტომ ხომ ვართ ვალდებულნი მათ წინაშე? თუ გნებავთ, სამუშაო საათების მერეც წელი მოგვწყდება თუ რა?

სწორედ ასე ფიქრობს ოსტატი. არ ამხელს, თორემ, როგორც გადმოცეს, მას თავისი პირადი წიგნაკი აქვს გახსნილი ომის ინვალიდთა სახელობითი სიით, დაახლოებით იცის, ვის რაში და როდის უნდა გამოადგეს.

— ხომ ვერ დაგვისახელებთ ომის იმ ინვალიდებს, რომლებსაც თქვენ უსასყიდლოდ მოემსახურეთ?

ოსტატს ეღიმება, მერე დაფიქრდა და მომიგო: ინვალიდებს გვარებს არ ვეკითხებიო.

— მისამართები მაინც არ გახსოვთ? თქვენ ხომ ადგილზე დაეხმარეთ მათ?

— კი, ადგილზე... მაგრამ ბევრი მათგანი უკვე ცოცხალი არ არის. არც ღირს ამაზე ლაპარაკი — სიკეთის ქმნას ხმაური არ უნდა.

მე მაინც ჩემსას არ ვიშლი და კითხვა-კითხვით დავეძებ სიკეთე-ქმნილ ადამიანებს. ერთ-ერთი მათგანია დიდი სამამულო ომის ინვალიდი სერგო ყუბანეიშვილი.

— აშენდა მაგის ოჯახი, თვითონვე მომაკითხა, გაბჭურა მჭონდა შესაკეთებელი, შემიკეთა, გასამრჯელო შევაძლებ და შემომიბღვირა — ფული სხვა რამეში მოიხმარე, მე ხელფასს საკმარისად ვღებულობო.

დიახ, ასეთია ქუთაისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ზეინკალი ჯანსუღ კალისტრატეს ძე ვერულაშვილი.

1953 წლამდე ვანის რაიონის სოფელ დიხაზოში იზრდებოდა მშობლებთან. კალისტრატე ვერულაშვილის ოჯახში ხუთი ვაჟი და სამი ქალიშვილი იზრდებოდა.

რვაწლიანი სკოლა რომ დამთავრა, ჯანსუღმა ქუთაისს მიაშურა, იფიქრა, სწავლა-განათლებას დიდი დრო სჭირდება, მრავალშვილიან და ხელმოკლე ოჯახს, ჯერ ერთი, იმის საშუალება არ აქვს, სასმელ-საჭმელი და ჩასაცმელ-დასახურავი მიგზავნოს ქალაქში, მერეც, სწავლა თუ მინდა, ვინ დამიშლის, ჯერ ხელობას შევისწავლი, და სწავლას შემდეგაც მოვასწრებო.

საწოლის საამქროში ზეინკლის მოსწავლედ გაფორმდა. ოსტატმა გრიგოლ გიორგაძემ შვილივით მეიყვარა მკვირცხლი და ხელმადლიანი ბიჭუნა, სულ რაღაც ექვსიოდე თვეში ხელობას აზიარა და ოსტატად აკურთხა. 1963 წლიდან ჯანსუღ ვერულაშვილი უკვე საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საოჯახო ნივთების დამამზადებელ სახელოსნოში უფროს ზეინკალ-ოსტატად მუშაობს.

როგორ მუშაობს, როგორ იღვწის?

ქუთაისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში არა მარტო საწარმო დავალებათა შესრულებითა და მომსახურების კულტურით გამოირჩევა ჯანსუღი, არამედ აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით, დამრიგებლობით, საკუთარი ოჯახისათვის ზრუნვითა და შვილების კარგი აღზრდით.

ჯ. ვერულაშვილი ჩვენთან მუშაობის პერიოდში, ესე იგი 1963 წლიდან დღემდე, — ეკითხულობთ დახასიათებაში, რომელსაც ხელს აწერენ სამმართველოს უფროსი, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, — სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს, ხასიათდება მშრომელთა მომსახურების მაღალი კულტურით. არის კომუნისტური შრომის დამკვრელი. 1982 წელს მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოდა შრომის დიდების ორდენით, ხოლო 1986 წელს, ამჯერად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა დიდი გადაჭარბებით და წარმატებით შესრულებისათვის — შრომის წითელი დროშის ორდენით.

ამჟამად ჯ. ვერულაშვილი 1987 წლის ანგარიშში მუშაობს. მისი ვალდებულებაა მეთორმეტე ხუთწლედის პირველი ორი წლის საწარმოო ვალდებულების შესრულება უზრუნველყოს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის.

ჯ. ვერულაშვილი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში, არჩეულია სამმართველოს პროფკავშირული კომიტეტის წევრად, არის მოწინავე სახალხო კონტროლიორი და სახალხო რაზმელი.

ჯანსუღი ნამდვილი მამულიშვილი, გულკეთილი კაცია. საყოფაცხოვრებო მომსახურება კი სწორედ ისეთი დარგია, უამთვისებებად აქ დიდხანს ვერ გაძლებ.

ახლახან მან თავისი საკუთარი შრომითი დანაზოგიდან ჩერნობილელთა დახმარების ფონდში 200 მანეთი გადარიცხა.

ჯანსუღი კარგი მეუღლე და კარგი მამაა. მისი მეუღლე ნორა 33-ე საშუალო სკოლის პედაგოგია, ვაჟმა სოსომ ახლახან დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი და საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობს, ქალიშვილი კი, პროფესიით ფარმაცევტი, თბილისში ცხოვრობს ქმარ-შვილთან ერთად. სწორედ ეამაყება ჯანსუღს ის, რომ სიძე ფრიდონ კოხოძე მუშაურ ტრადიციებზე აღიზარდა, იგი წლების მანძილზე დამიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში მუშაობს და აქვე მიიღო დაუსწრებლად უმაღლესი ტექნიკური განათლება.

დ. ბედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

აქტუალური ეკრანი

ბევრი, ძალზე ბევრი ჩვენგანი შეწუხებულა იმ გარემოებით, რომ უგვანო ადამიანები ხელოვნებით ანადგურებენ მშობლიურ ბუნებას, მათ შორის, წითელ წიგნში შეტანილ ნადირ-ფრინველსა თუ თევზს.

და რაოდენ დროული იყო, რომ საქართველოს ტელევიზიის მუშაკებმა, კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად, ჯერ კიდევ შარშანდელ მაის-ივნისში მოაწყვეს რეიდი შავ ზღვაზე და მდინარეებზე ბრაკონიერთა გამოსავლენად.

ჯერ კიდევ 1985 წლის 6 ივლისს ვიხილეთ პირველი გადაცემა რუბრიკით „მოქალაქე, საზოგადოება, კანონი“, — „ბრაკონიერები“. ვნახეთ და მოწმენი გავხდით ბრაკონიერობის აღმაფოთებელი ფაქტებისა — თევზზე ნადირობისა დინამიტით, საწამლავით, დენით და სხვა აკრძალული საშუალებებით. ეს მდინარეებში, მაგრამ უფრო მძიმე სურათი ვიხილეთ შავ ზღვაზე, რომელიც დაქსელილი აღმოჩნდა ბრაკონიერთა ბადეებითა თუ სხვა თევზსაპერი საშუალებებით.

სამრეწველო საწარმოთა მუშაობის კომპლექსური შეფასება მიანდეს ავტომატიკას რესპუბლიკის დედაქალაქის პირველი მაისის რაიონის დარგშორისი ტერიტორიული გაერთიანების სპეციალისტებმა. მათ სპეციალური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ალგორიტმის“ საქართველოს ფილიალისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემების ინსტიტუტის მეცნიერებთან ერთად კომპიუტერს „ეისაწვალეს“ საწარმოთა სხვადასხვა მაჩვენებლის გაანალიზება. ავტომატიზებული კომპლექსური სისტემა დანერგვის პირველ ეტაპზე შესაძლებელს ხდის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული კოლექტივის ობიექტურ გამოვლენას. მაგრამ უკვე უახლოეს ხანს იგი ხელმძღვანელთა საიმედო მრჩეველიც გახდება რთული გადაწყვეტილებების შემუშავებისა და მიღების დროს.

მუშაობას აფასებს ავტომატი

ამ დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური ნამუშევრის შესახებ მოხსენდა რობოტიზაციის, ავტომატიზაციისა და მართვის დარგის სპეციალისტების საკავშირო თათბირ-სემინარს, რომელმაც თბილისში დაამთავრა მუშაობა. ამ ორგანიზაციაში აქტიურად მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ავტომატური მართვის ეროვნული კომიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის კომიტეტი.

— სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, განვითარების ინტენსიურ გზაზე ეკონომიკის გადაყვანის საკითხებს დღეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, — უთხრა ჟანფფორმის კორესპონდენტს თათბირის საპროგრამო კომიტეტის თავმჯდომარემ, პროფესორმა ვლადიმერ ბუტკოვმა (მოსკოვი). — ქვეყანაში დაწყებული დიდი მუშაობა დაჩქარებისა და გარდაქმნის საფუძველზე წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის შეეხო სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო ნამუშევრებსაც. უკვე შეიქმნა, საწარმოსა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებში ინერგება და მოქმედებას იწყებს ახალი ტექნოლოგიები, ავტომატიზებული წარმოებები, სამუშაო ადგილები და დაპროექტების სისტემები. მკვეთრად გაიზარდა დიდმნიშვნელოვანი ოპერატიული და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მნიშვნელობა ყოველ დონეზე. რა გააკეთა საბჭოთა მეცნიერებამ ამ შრომის გასაადვილებლად, რა არის კიდევ გასაკეთებელი? მეცნიერების და პრაქტიკისაკენ მნიშვნელოვანი ეს და სხვა საკითხები განიხილეს სპეციალისტებმა.

ტელეგადაცემის — „დასეტყვილი შავი ზღვა ანუ გადაცემა არ დამთავრებულა“ გამო

◆—◆

აღნიშნული რეიდის მასალებს მკაცრი შეფასება მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 1985 წლის 17 ივლისს გამართულმა თათბირმა. სათანადო ორგანოებს დაეალათ სასწრაფოდ გარდაექმნათ მუშაობა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამასთან, ისიც ეცნობათ, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, პარტიის ცენტრალური კომიტეტი კვლავ დაუბრუნდებოდა აღნიშნულ საკითხს.

გადაცემის შემდეგ „საქშავზღვათევზმშენის“ სამმართველომ, ვითომდა რაღაც იღონა, მაგრამ... მეტისმეტად ფორმალური კი გამოუვიდა და უმნიშვნელო სასჯელს დაჯერა ბრალეულნი. უფრო მეტიც, სამმართველოს ხელმძღვანელებმა (უფროსი—როლანდ ჩარგეიშვილი, მოადგილე — უშანგი იოსელიანი) ახლა რეიდის აქტიურ მონაწილეებს დაუწყეს ანგარიშის სწორება!

ხელახლა მოეწყო რეიდი, მომზადდა მეორე გადაცემა „რედაქციაში წერილი მოვიდა, ანუ რატომ გადადო გადაცემა“, (1986 წლის 28 აგვისტო), რომელმაც კვლავ ამხილა აღნიშნულ სისტემაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და აშკარა ბიუროკრატიზმზეც მიუთითა. ტელეეკრანიდან კვლავ გაისმა ჩვენი საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა რისხვა იმათ მიმართ ასე თავგამოდებით რომ მფარველობენ ბრაკონიერებს!

აღნიშნულ გადაცემას არც „საქშავზღვათევზმშენის“ სამმართველო, არც აფხაზეთის თევზდაცვის ინსპექცია (უფროსი — მამანტი ჯოლია) არ გამოხმაურებიან. ნუ ვიფიქრებთ, თითქოს ნაუცბათევი პასუხისგან შეიკავეს თავი, ჯერ უშუალოდ საქმის გამოსწორებას დაეშურნენ და, სწორედ ამ „ღვწაში“ გადაავიწყდათ თევზიც და ტელემაყურებელიც! არა, უბრალოდ აბუჩად აიგდეს ყველა და ყველაფერი!

და აი, შაბათს, 20 დეკემბერს კვლავ ვიხილეთ აღნიშნული სერიალის მესამე გადაცემა. ამჯერად ბრაკონიერობის გზით მოპოვებული თევზით უკანონოდ მოვაჭრენი „ტელეგმირებად“ მოგვევლინენ, ისინი, უშრომელ შემოსავლად გამდიდრების ეს გზა რომ აურჩევიათ!..

ტელეეფურნალისტები კვლავ ეწვივნენ ძველ ადგილებს, და აღმოჩნდა, რომ იგივე ბრაკონიერები დაუსჯელად განაგრძობენ თევზის კერძო რეწვას. რა კონტროლი, რის კონტროლი! და რაც ყველაზე სავალალოა, თევზდაცვის ინსპექტორებიც უფრო აშკარად ვიხილეთ... ბრაკონიერთა ხელშემწყობად!

სავსებით მართებულია ეკრანიდან თევზმშენის სამმართველოს ხელმძღვანელებისადმი მიმართვა: „როდემდის?“ და რედაქციის პრინციპული დასკვნაც: „ჩვენმა რეიდებმა დაადასტურა რომ ეს კითხვა კვლავ დღის წესრიგში დგას, და ვიდრე სრული პასუხი არ გაეცემა, ჩვენი გადაცემაც არ დამთავრებულა“.

ჩვენი სთქმელიც იგივეა. „კომუნისტს“ არაერთხელ აღუმაღლია ხმა ამ პრობლემის გამო და ამდენად, არც ჩვენ დაგვიმთავრებია სათქმელი!

და ბოლოს, მადლობის მეტი რა გვეთქმის ამ გაბედული, მწვავე პუბლიცისტური ტელესერიალის ავტორთა მიმართ. ტელეეფურნალისტებმა მინდია თავადმ, კარლო ლუარსაბიშვილმა და გადაცემის რეჟისორმა გივი ტალიკაძემ, მართლაც რომ, მთელი სიმძაფრით გაგვაგონეს თევზის სათქმელი.

ლ. ჩიქოვანი.

დანაშაულზე წაასწრეს

ნარკომანია სოციალური ბოროტებაა

გასწორების კოლონიაში მოხდით, პირადი ქონების კონფისკაციით.

ო. გოგიტიძისაგან განსხვავებით კიეველი მიხეილ მელნიკოვი ნარკომანიე არის და რეალიზატორიც. იგი ორმოც წელს გადაცილებული, პროფესიით მძღოლია, მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისა და ხულიგნობისათვის ორჯერ არის ნასამართლევი. ნარკომანი ისეთი კაცია, რომელიც ერთ ადგილას ვერ ისვენებს, რადგან ყოველთვის საკბილოს ეძებნაშია. ნარკომანმა და რეალიზატორმა ერთ დღეს კიევიდან თვითმფრინავით ქუთაისში ამოყო თავი. იქით ეცა, აქეთ ეცა და ნახა თავისი მსგავსი, რომლის ვინაობაც გამოძიებამ ვერ დაადგინა. მისგან ექვსას მანეთად იყიდა 104,6 გრამი ოპიუმი. მ. მელნიკოვი ნარკოტიკული ნივთიერებების ხსნარში გახსნისა და დამზადების „სპეციალისტია“, შესანიშნავად იცის რეცეპტურა. ოპიუმი გახსნა ადუღებულ წყალში, 0,33 ლიტრიან ორ ბოთლში ჩასხა და იმავე დღეს თბილისში გამოფრინდა.

თვითმფრინავიდან დაინახა: თბილისის აეროპორტში შემოწმებაზე მილიციის თანამშრომლები იყვნენ. გაიფიქრა, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, და ყოველი შემთხვევისათვის თვითმფრინავში გაცნობილ კაცს სთხოვა მისი ნელჩანთა გაეტანა მაგრამ არ დაეცალეს, დაიჭირეს.

გამოძიებამ შეისწავლა მ. მელნიკოვის სისხლის სამართლის საქმე და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252 მუხლის მეორე ნაწილით პასუხისგებაში მისცა.

ეს სისხლის სამართლის საქმეც ქ. თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლომ გაარჩია. სასამართლომ სასჯელის განსაზღვრის დროს დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი. მიხეილ გრიგოლის ძე მელნიკოვს თოთხმეტი წლის თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაციით, აგრეთვე დაენიშნა იძულებითი მკურნალობა თავისუფლების აღკვეთის დროს.

ბ. ლელაძე.

სასამართლო დარბაზიდან

ლოთობის მსხვერპლი

სიფხიზლე ცხოვრების ნორმა უნდა იყოს

ვალიკო მინდიაშვილი კარგ შეზარხოშებული იყო, შუადამისას გორის რაიონის სოფელ შინდისის გზას რომ დაადგა და თავის ნათესავს, ლეონა პატარიძეს შინ მიცილება შესთავაზა. ნაბიჯსავლე ჭირვეული ყოფილა კაცი, თუმცა ერთმანეთისგან განსხვავებულიც გვხვდებიან. ზოგი დამჯერე, რბილი ხასიათისაა, ზოგი კი ისეთია, ჯიუტობაში ოჩან სახედარსაც გადაჭარბებს. ასეთს ვერაფერს შეაგებინებ. ლოთობა ყველასათვის საზიანოა, მაგრამ მით უფრო ჯიუტისათვის, მან ღვინოს სმა კატეგორიულად უნდა აიკრძალოს.

ამ ღამესაც სიმთვრალეს უბედურება მოჰყვა და ორი ადამიანის სიცოცხლე საფრთხეში ჩაადგო. ვ. მინდიაშვილმა, ქალს რომ მიაცილებდა, რატომღაც აიჩემა გზის შუა ნაწილში სიარული. მანქანა წამოეწიათ, მაგრამ ამ კაცს განზე გადგომა არც უფიქრია. საჭეს არჩილ საბაშვილი მართავდა, მანქანა შეაჩერა და მინდიაშვილს გზიდან გადასვლა სთხოვა. მან არათუ თხოვნა არ შეუსრულა, განაწყენდა კიდეც და გინება დაუწყო. ჭინგაში საბაშვილიც არ ჩამორჩა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, პირიქით, მთვრალი კაცი უფრო გაბედულდა. მაშინ არჩილის მამა მანქანიდან გადმოვიდა და ძალით გადაიყვანა იგი გზიდან, შემდეგ კი სასწრაფოდ მანქანაში ჩაჯდა და წავიდნენ, თავი აარიდეს მინდიაშვილთან კონფლიქტს.

ვ. მინდიაშვილმა ლ. პატარიძე შინ მიიყვანა და გამობრუნდა. საბედისწეროდ ის მანქანაც მობრუნებულიყო ისევ შუა გზაზე მიმავალ მინდიაშვილს მიადგა და გაჩერდა, რომ არ დაჯახებოდა. ქვეითად მოსიარულე და მანქანის მგზავრები ამჯერადაც წალაპარაკდნენ. მანქანიდან საბაშვილების სიძე დ. ყურუა გადმოვიდა და შეეცადა ვ. მინდიაშვილი გზიდან გადაეყვანა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ოუკადრისა და სამაგიეროს მიზნით გადაწყვეტა. ჯიბიდან დანა ამოიღო და მუცლის არეში დაჭრა საბაშვილების სიძე. სიძის დასახმარებლად სიმამრი მანქანიდან ჩადმოვიდა, მაგრამ მინდიაშვილმა გ. საბაშვილიც დაჭრა გულმკერდის არეში. მხოლოდ დროული სამედიცინო დახმარების მეოხებით გადარჩნენ დაზარალებულები.

სახალხო სასამართლომ დამნაშავე მკაცრად დასაჯა. ვ. მინდიაშვილს 9 წლის თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. მაგრამ ეს არ არის მთავარი, დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩება. მას სამაგიეროს ყოველთვის მიუზღავენ. მთავარი ის არის, რომ დანაშაული არ მოხდეს და ადამიანმა შეიგნოს, თუ როგორი დამღუპველია სასმელის მიძალება, რომ ღვინო აკნინებს მის სულიერ და მორალურ ღირსებებს, გონებას უბნელებს და დანაშაულზე უბიძგებს.

ამ არაფრის გულისთვის მომხდარი კონფლიქტის მიზეზი ხომ სიმთვრალე იყო? იგი საქვეითო, გზას კი არ გაპყვა, სამანქანო გზას დაადგა, და ვერ განსაზღვრა, ამით საკუთარ თავსაც საფრთხეში რომ იგდებდა, პირიქით, ღვინომ იმდენად აუმღვრია გონება, რომ სხვათა სიცოცხლეც ხელყო, თავისი ცხოვრებაც გაბრუდა, ღვინოს ემსხვერპლა კაცი. განა რამდენი უნდა იცოცხლოს ადამიანმა, რომ 9 წელი პატიმრობაში გაფლანგოს?

ნ. ბრელიძე.

◆ ზამბია

განიხილეს სამხრეთ აფრიკის ვითარება

„ფრონტისპირა“ სახელმწიფოების ხელმძღვანელთა თათბირი

ლუსაკა. ზამბიის დედაქალაქში გაიმართა „ფრონტისპირა“ სახელმწიფოების ხელმძღვანელთა თათბირი. მასში მონაწილეობდნენ აგრეთვე სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის პრეზიდენტი ოლივერ ტამბო და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის პრეზიდენტი სემ ნიუომა.

მათ განიხილეს აფრიკის კონტინენტის სამხრეთში შექმნილი ვითარება, რომელიც გამწვავდა პრეტორიის რასისტული რეჟიმის მიერ განხორციელებული აგრესიული კურსის შედეგად. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს სამხრეთ აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისადმი მხარდაჭერის გაფართოების საკითხები, აგრეთვე კოხტრეტული ღონისძიებები მოზამბიკისათვის მატერიალური და სამხედრო დახმარების აღმოსაჩენად, რომელიც იბრძვის რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქმაყოფაზე ყოფი ეგრეთ წოდებული „მოზამბიკის ეროვნული წინააღმდეგობის“ ტერორისტული ბანდების წინააღმდეგ. „ფრონტისპირა“ სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა მხარი დაუჭირეს პრეტორიის რეჟიმის წინააღმდეგ ყოვლისმომცველი სანქციების დაუყოვნებლივ შემოღებას, დასახეს რეგიონალური თანამშრომლობის გაფართოების პერსპექტივები, რათა წინ აღუდგნენ სამხრეთ აფრიკის დამოუკიდებელი ქვეყნების მიმართ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პროვოკაციულ ეკონომიკურ პოლიტიკას.

◆ ჩადი

სურთ გადააქციონ პლაცდარმად

ტრიპოლი. ჩადელი ხალხის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის აგრესიული აქციები მიზნად ისახავს ჩადში წმინდა შინაური კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციას, რათა ეს ქვეყანა გადააქციონ აფრიკის სხვა სახელმწიფოებისათვის დარტყმების მიყენების პლაცდარმად. ეს განუცხადა ჟურნალისტებს აქ ჩამოსულმა ჩადის ეროვნული ერთიანობის გარდამავალი მთავრობის დელეგაციის მეთაურმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ფაჩო ბალამმა.

ეროვნული ერთიანობის გარდამავალი მთავრობის დელეგაცია, აღნიშნა მან, ტრიპოლში იმყოფება იმ მიზნით, რომ განმარტოს ჩადში შექმნილი საშიში ვითარება. მინისტრმა გამოთქვა ჩადელი ხალხის გადაწყვეტილება წინააღმდეგნენ ამერიკა-საფრანგეთის აგრესიას.

ლიბიის ჯამაჰირიის საგარეო კავშირურთიერთობის ეროვნული ბიუროს მდივანთან ქამელ ჰასანალ-მაქხურთან აქ გამართული შეხვედრის დროს ჩადის ეროვნული ერთიანობის გარდამავალი მთავრობის დელეგაციამ ლიბიის მხარეს აცნობა ჩადის საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის საშიში ჩარევა, რაც, გამოიხატა, კერძოდ, ქვეყნის ჩრდილოეთის დასახლებული პუნქტების დაბომბვით.

პარიზი. როგორც საფრანგეთის გაზეთი „კოტიდიენ დე პარი“ იტყობინება, ამერიკის შეერთებული შტატები ამ კვირას ნჯამენაში გადაგზავნის ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებს, ავტომატური იარაღისა და მაშხანების პირველ პარტიას, რომლებიც ვაშინგტონმა გამოყო ჰაბრეს რეჟიმისათვის 15 მილიონ დოლარი საერთო თანხის საგანგებო სამხედრო დახმარების ფარგლებში.

● იაპონია

მილიტარისტული ზრახვები

ტოკიო. იაპონიის პრემიერ-მინისტრმა იასუჰირო ნაკასონემ გადაწყვიტა 1987 საფინანსო წელს უარი თქვას ტოკიოს მიერ ათი წლის წინათ გამოცხადებულ პრინციპზე, რომელიც ითვალისწინებს მთლიანი ეროვნული პროდუქტის ერთი პროცენტის ფარგლებში სამხედრო ხარჯების შეზღუდვას. ამას იტყობინება საქმეში ჩახედული გაზეთი „მაინიტი“, რომელიც იმოწმებს მმართველი ლიბერალურ -დემოკრატიული პარტიის წყაროებს.

ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ნაკასონემ მყისვე უარყო პრესაში გამოქვეყნებული ცნობები ერთპროცენტიანი „ზღვრის“ მომავალი ლიკვიდაციის შესახებ და განაცხადა, რომ 1987 წლის სამხედრო ხარჯების დონის საკითხი ჯერ დეტალურად უნდა განიხილონ მთავრობაში. პრემიერი პირველად როდი მიმართავს ამგვარ მანევრებს, რათა დროებით საიდუმლოდ შეინახოს თავისი ნამდვილი ზრახვები.

„ვოიაჯერის“ ექსპერიმენტი

უნესივროობა აღმოფხვრეს

ვაშინგტონი. კინალამ ჩაიშალა ექსპერიმენტული თვითმფრინავის „ვოიაჯერის“ ფრენის წარმატებით დამთავრება. მან ძირს დაუშვებლად და საწვავის შეუვსებლად უნდა შემოუფრინოს დედამიწას.

ატლანტის ოკეანის ცენტრალურ ნაწილში, როცა „ვოიაჯერი“ ბრაზილიის სანაპიროსაკენ მფრინავდა და განვლილი ჰქონდა გზის თითქმის სამი მეოთხედი, თვითმფრინავის კაბინაში უეცრად აინთო წითელი ნათურა, რაც იმის სიგნალი იყო, რომ ორი ძრავადან ერთ-ერთი ძლიერ ხურდებოდა და მკვეთრად ეცემოდა ზეთის წნევა. შემფოთებულმა მეცნიერებმა, რომლებიც თვალს ადევნებენ ფრენას, „ვოიაჯერის“ უკიპაჟს გადასცეს, რომ მოუწევდათ საავარიო დაჯდომა ბრაზილიის ერთ-ერთ აეროდრომზე.

მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ეკიპაჟმა დედამიწაზე გადმოსცა, რომ დაადგინეს ძრავის მკვეთრი გახურების მიზეზი. აფრიკის კონტინენტის თავზე მკაცრ საპაერო სტიქიასთ

მოძღვრება, რომელსაც ჟამთა სვლა ვერაფერს დააკლებს

(დასასრული)

ტინგი, რომელიც მიეძღვნა აქ დ. ნ. უზნაძის ძეგლის საძირკვლის ჩაყრას.

სამამულო მეცნიერების განვითარებაში, თბილისის უნივერსიტეტის ჩამოყალიბებაში გამოჩენილი სწავლულის უდიდესი წვლილის, მისი ფართო საზოგადო მოღვაწეობის შესახებ ილაპარაკეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ამაღლობელმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ო. გაბიძაშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. ნ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა შ. ნადირაშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერული ფსიქოლოგიის კათედრის გამგემ, პროფესორმა გ. კეჩხუაშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტმა, დ. ნ. უზნაძის სახელობის სტიპენდიანტმა ე. ბაქრაძემ.

მიტინგში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ალავიძე. (საძინ-ფორმი).



საბჭოთა ფსიქოლოგიის კლასიკოსი

დიმიტრი უზნაძის დაბადების 100 წლისთავის გამო

თავისი მეცნიერული, საზოგადო და პედაგოგიური მოღვაწეობით დიმიტრი უზნაძემ დიდი განვლენა მოახდინა ჩვენი მეცნიერების განვითარებაზე. იგი ღირსეული წარმომადგენელი იყო ქართველ მეცნიერთა იმ სახელოვანი პლეადისა, რომელმაც ივანე ჯავახიშვილის ეროვნულობით დიდი მუშაობა გასწია საქართველოში უნივერსიტეტის დასაარსებლად.

თბილისის უნივერსიტეტში დ. უზნაძემ თავიდანვე შექმნა ფსიქოლოგიის კათედრა და ლაბორატორია, სადაც შემდგომში გაწლილი მეცნიერული მუშაობის შედეგები ცნობილი გახდა საბჭოთა და საზღვარგარეთელ ფსიქოლოგთა ფართო წრეებისათვის. დ. უზნაძემ შექმნა ფსიქოლოგიის მეცნიერების ორიგინალური მიმართულება — განწყობის თეორია, რომელმაც საერთაშორისო აღიარება ეროვნა. ამ თეორიის ბაზაზე დღესაც მუშაობს მისი თანამოსაგი დაარსებული მისივე სახელობის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორი იყო გარდაცვალებამდე. განწყობის თეორიის განვითარებას ემსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ოთხი კათედრაც, რომლებიც ქართველ ფსიქოლოგთა აღზრდის საპატიო ამოცანას წარმატებით ასრულებენ.

დღეს, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, განსაკუთრებით იზრდება ინტერესი განწყობის თეორიის მიმართ, რადგან იგი სხვა თეორიებზე უკეთ იძლევა „ადამიანის ფაქტორის“ როლის გათვალისწინების შესაძლებლობას ცხოვრებაში.

დ. უზნაძე დაიბადა 1886 წლის 20 დეკემბერს ზესტაფონის რაიონის სოფელ საქარაში. იგი სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, საიდანაც 1905 წელს გარიცხეს რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. იმავე წელს გაემგზავრა გერმანიაში და სწავლობდა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე მეცნიერული ფსიქოლოგიის ფუძემდებელ ვ. ვუნდტთან. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სადოქტორო დისერტაცია ფილოსოფიაში დაიცვა.

1909-1917 წლებში დ. უზნაძემ ქუთაისში დაარსა ქართული სკოლა „სინათლე“, რომლის დირექტორიც თვითონ იყო. 1917 წლიდან დ. უზნაძის მოღვაწეობაში ახალი პერიოდი იწყება — იგი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და ჩაერთო ჩვენი მეცნიერების ამ დიდ მუშაობაში, რომელსაც თბილისის უნივერსიტეტის დაარსება მოჰყვა. დ. უზნაძე უნივერსიტეტში კითხულობდა ზოგადი, პედაგოგიური, შრომისა და დიფერენციალური ფსიქოლოგიის კურსებს. ეს მოითხოვდა ფსიქოლოგიის შრომებისა და სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოების შექმნას ქართულ ენაზე. დ. უზნაძე იწყებს ინტენსიურ მუშაობას ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში. 1923 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია „ანრი ბერგსონი“, შრომები „იმპერსონალიი“, „სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები“ და „სასკოლო საგანთა ინტერესის მოტივები“, რომლებიც ამავე დროს გერმანულ ფსიქოლოგიურ ჟურნალებშიც გამოქვეყნდა. მაგრამ განსაკუთრებული როლი ჩვენი ფსიქოლოგიის მეცნიერების განვითარებაში შეასრულა დ. უზნაძის მონოგრაფიამ „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომელიც 1925 წელს გამოიცა. ამ წიგნზე აღიზარდა ომამდელი ქართული ფსიქოლოგების თაობა, რომელმაც დ. უზნაძის მეთაურობით განწყობის თეორია საბჭოთა ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად აქცია.

1927 წლიდან დ. უზნაძის ხელმძღვანელობით დაარსდა საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოება, რომელსაც იგი გარდაცვალებამდე უძღვებოდა.

ეს პერიოდში როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ ფსიქოლოგია ძმაფრ მეთოდოლოგიურ კრიზისს განიცდიდა. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული საბჭოთა მარქსისტული ფსიქოლოგია, ხოლო დასავლეთევროპელი და ამერიკული ფსიქოლოგია დაშალა ცალკეულ ვიწრო მიმდინარეობად, რომლებმაც თავი ვერ დააღწიეს კრიზისულ მდგომარეობას. ერთიანი თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების უქონლობის გამო ფსიქოლოგიაში უნებურად გაჩნდა ცალკეული ფაქტებისა და ემპირიულ კანონზომიერებათა ძიების ტენდენცია. დ. უზნაძის აზრით, თეორიული მუშაობის გარეშე, რომლის საფუძველზე უნდა შექმნილიყო ფუნდამენტური ცნებების სისტემა, შეუძლებელი იყო საბჭოთა ფსიქოლოგიის განვითარება. მან შექმნა განწყობის კვლევის მეთოდი და მისი მეშვეობით ჩამოაყალიბა განწყობის თეორია, რომელმაც საბჭოთა ფსიქოლოგიას შესაძლებლობა მისცა ადამიანის განცდები და მოქმედება ერთიანობაში შეესწავლა.

თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე დ. უზნაძემ აღმოაჩინა, რომ ადამიანი ყოველი ქცევის წინ შინაგანად, ფსიქოლოგიურად, ემზადება ამ ქცევის შესასრულებლად, თუმცა ყოველთვის შეიძლება ვერც აცნობიერებდეს ამას. ამიტომ ვერ ამჩნევდნენ ფსიქოლოგები გაუცნობიერებელ განწყობებს. უზნაძემ შეიმუშავა მეთოდი ასეთი განწყობის გამოსაკვლევლად. მისი საშუალებით შესაძლებელი გახდა განწყობის ბევრი თავისებურების დადგენა.

1940 წელს გამოიცა ფუნდამენტური შრომა „ზოგადი ფსიქოლოგია“, რომელშიც დ. უზნაძემ განაზოგადა განწყობის თეორიაში მოპოვებული შედეგები.

ბალე განწყობის კვლევის მეცნიერული მეთოდის ღირებულება ნათელი გახდა ფსიქოლოგთა ფართო წრისათვის. მზედელობის სფეროში უზნაძის მეთოდით გამოვლენილი განწყობის ფაქტს უდიდესმა ფრანგმა ფსიქოლოგმა ჟან პიაჟემ „უზნაძის ეფექტი“ უწოდა და მისი მახასიათებლები გამოიყენა სინამდვილესთან ადამიანის შეგუების ეტაპების დასადგენად. „უზნაძის ეფექტის“ თავისებურებებისა და მნიშვნელობის შესახებ ჟ. პიაჟემ 1944 წელს ცალკე მონოგრაფია გამოაქვეყნა.

განწყობის თეორიის საფუძველზე პირველად გახდა შესაძლებელი იმ კავშირების ფსიქოლოგიური ბუნების შესწავლა, რომლებიც არსებობს გარემოს, ადამიანის ქცევასა და მისი ცნობიერების მიმდინარეობას შორის. ამავე დროს, დაძლეულ იქნა უშუალო და მექანიცისტური კავშირის თეორია გარემოსა და ცნობიერებას შორის. ფსიქოლოგიის ფუნდამენტურ საკითხებთან ერთად, ამ თეორიის საფუძველზე დადგენდა, რომ ადამიანის ტემპერამენტისა და ხასიათის ტიპს საფუძვლად განწყობის ტიპოლოგია უდევს.

განწყობის თეორიის შემდგომ მოწესრიგებულ სახეს ითვლება, რომ მას არსებითი კავშირი ჰქონია პიროვნების პათოფსიქოლოგიურ ცვლილებებთან. ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე დადგენილა, რომ შიზოფრენიით, ისტერიითა და ეპილეფსიით დაავადებული პაციენტების განწყობის შემუშავებისა და ჩაქრობის პროცესი, ჯანმრთელ ცდისპირებისაგან განსხვავებით, თავისი სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება.

დიდი სამამულო ომის პერიოდში, სხვა მეცნიერებათა მსგავსად, ფსიქოლოგიაც ომის მოთხოვნების სამსახურში ჩადგა. 1945 წელს ნაყოფიერი პრაქტიკული და თეორიული მუშაობისათვის დ. უზნაძე დაჯილდოდა შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

1941 წელს საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებისას დ. უზნაძე დაამტკიცეს აკადემიკოს-დამფუძნებლად 16 მეცნიერთან ერთად; იყო აგრეთვე აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა პრეზიდიუმის წევრი. აკადემიის შემადგენლობაში თავიდანვე შეიქმნა ფსიქოლოგიის სექტორი, რომლის ბაზაზე 1943 წელს ჩამოყალიბდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტი — საბჭოთა კავშირში პირველი ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.

1940-1950 წლები დ. უზნაძის მეცნიერული მოღვაწეობისა და განწყობის თეორიის განვითარების მეორე ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს. ამ დროს განწყობის ზოგადფსიქოლოგიურმა თეორიამ რეკონსტრუქცია განიცადა საზოგადოებრივ მეცნიერებებში მომხდარ იდეოლოგიურ ძვრებთან დაკავშირებით. „ზოგადფსიქოლოგიამ“ მეცნიერებებმა გადაკრეს ძირითადი ფილოსოფიური მეთოდოლოგიური ასკეთხები, რომლებიც ადამიანისა და საგნობრივი სინამდვილის ურთიერთობას ეხებოდა. ადამიანის სოციალური ბუნების ფსიქიკური საკითხების შესწავლისათვის განწყობის თეორიას „კარგი“ შესაძლებლობები აღმოაჩნდა. მაგრამ ამ შესაძლებლობების გამოყენება ახალი ასპექტების წამოწევას მოითხოვდა, ამ მიმართულებით დ. უზნაძემ საინტერესო მუშაობა გასწია, მრავალი ნაშრომიც გამოაქვეყნა, რომელთაგან აღსანიშნავია „ყურადღების პრობლემა“ და „ობიექტივაციის პრობლემა“.

განწყობის ფსიქოლოგიის კვლევის საგნად სპეციფიკური ადამიანური პრობლემები იქცა. ეს უკვე ნიშნავდა, რომ საქართველოში სოფლიერი ჩაეყარა სოციალურ-ფსიქოლოგიურ კვლევიბებას.

ამ ეტაპიდან უკვე შესაძლებელი გახდა რეალური ადამიანის ფსიქიკური აქტიურობის შესწავლა. განწყობის ფსიქოლოგიის ძირითად ცენტრად ითვლებოდა ბესტემაში პიროვნების კატეგორიის შეტანაც გახდა აუცილებელი. ადამიანის აქტიურობის სხვადასხვა დონისა და განწყობის შესატყვისი სახეების დადგენით აგრეთვე შესაძლებელი გახდა ადამიანის ფსიქიკური აქტიურობის შინაარსის დახასიათება და შესწავლა. დღეს, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში და წარმოებაში ადამიანის ფაქტორის როლი განუხრელად იზრდება, განწყობის ფსიქოლოგიის მონაცემები პრაქტიკულ ღირებულებას იძენს წარმოების ინტენსიფიკაციაში და საზოგადოების სოციალურ განვითარებაში.

ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური საკითხების ცნობილი მკვლევარის ქ. აბულხანოვა-სლავსკაიას აზრით, დ. უზნაძემ ფსიქიკური აქტიურობის მეორე დონის თავისებურებათა აღმოჩენით ს. რუბინშტეინთან ერთად საბჭოთა ფსიქოლოგიაში დაამკვიდრა პიროვნული მიდგომის პრინციპი, რაც მარქსისტული ფსიქოლოგიის ეტაპის გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო.

ორმოციანი წლების მეორე ნახევარ ლისათვის დ. უზნაძემ ქართველ ფსიქოლოგთა ექსპერიმენტული კვლევის შედეგები განაზოგადა მონოგრაფიაში „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“, რომელიც 1949 წელს გამოქვეყნდა. ეს შრომა რუსულად 1961 წელს გამოიცა, ხოლო ექვსი წლის შემდეგ ინგლისურად — ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ინტერესი დ. უზნაძის განწყობის თეორიის მიმართ სულ უფრო იზრდება. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ფსიქოლოგთა თითქმის ყოველ საკავშირო ყრილობაზე საგანგებო სხდომები ეძღვნება განწყობის თეორიის აქტუალურ საკითხებს. ფსიქოლოგთა XVIII საერთაშორისო კონგრესზე განწყობის პრობლემებს ცალკე სიმპოზიუმი დაეთმო. მასში მრავალი ქვეყნის ფსიქოლოგმა მიიღო მონაწილეობა. კიდევ უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი განწყობის თეორიის პრობლემები ფსიქოლოგთა XXII საერთაშორისო კონგრესზე: აქ განწყობის ფსიქოლოგიას ორი სიმპოზიუმი დაეთმო. შემოჯამებელ მოხსენებებში ნათლად აღინიშნა დ. უზნაძის განწყობის თეორიის მნიშვნელობა ფსიქოლოგიისათვის, აგრეთვე ის ფარტებები, რომლებიც ამ თეორიას აქვს მოპოვებული.

დიმიტრი უზნაძე გარდაიცვალა 1950 წელს, 64 წლისა, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სხდომაზე სიტყვის წარმოთქმისას. მისი მოწაფეები და მიმდევრები, რომლებიც ქართული ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლებად არიან ცნობილი, განაგრძობენ მუშაობას განწყობის ფსიქოლოგიის შემდგომი განვითარებისათვის.

შ. ნადირაშვილი,
ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;

მ. ბალიაშვილი,
ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი.

ᲞᲐᲠᲢᲘ

ᲐᲛᲐᲕ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲠᲘᲖᲝᲜᲖᲔ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. ბუკის — ახალგაზ, თბილისში, სახელმწიფო ცირკთან (ზტკვრის მარჯვენა სანაპიროზე) ჯერ კიდევ მეოთხედი საუკუნის წინათ ფიზკულტურელთა პარკი იყო. ეს ადგილი ჩვენი რესპუბლიკის სპორტული მოძრაობის ერთ-ერთ ეპიცენტრად ითვლებოდა. ნელა, მაგრამ თანდათანობით კვლავ იბრუნებს იქაურობა ძველ სახელს და იერს. ეს იქნება გაცილებით ფართო მასშტაბის, დღევანდელი და ხვალინდელი მოთხოვნების შესაფერისი სპორტული კერა, ვიდრე წინანდელი იყო.

ძველი საცურაო აუზის ნაცვლად, სანაპიროზე კარგა ხანი ფუნქციონირებს შესანიშნავი წყალსაჯომარდო კომპლექსი, ტანმოვარჯიშეებსაც უკეთესი დარბაზი აქვთ და, რაც მთავარია, „სპორტი“ ჩარჩოებში არ მოქცეული — ნებისმიერი შესაძლებლობის შემთხვევაში კვლავაც სპორტისა და სპორტსმენთა საკეთილდღეოდ წყდება ძალზე მნიშვნელოვანი, ზოგჯერ სადავო საკითხებიც კი. ამის ერთი მკაფიო მაგალითი ის გახლავთ, რომ წყალსაჯომარდო კომპლექსის წინ მდებარე „ინემშენის“ მაღლივ კოორპუსში, რომელშიც თბილისის საქალაქო საბჭოს რამდენიმე სამმართველოა მოთავსებული, მოშავალში ახალ ნაგებობაში გადავა, ეს შენობა კი, სადირექტივო ორგანოების დავალებით, სპორტსმენებს დაეთმობა. შესანიშნავი გადაწყვეტილებაა. სპორტის მეცნიერებსა თუ სპორტსმენებს მადლობის მეტი რა ეთქმით. აქ იცხოვრებენ სპორტსმენები შეკრებებისას, სასტუმროს მაგვარობას გაუწევენ და აქ ყველაფერი გაკეთდება წვრთნისა და შეჯიბრების შემდეგ ნორმალური ლეგენერაციისათვის. აქვე მოეწყობა აღდგენითი ცენტრი.

ასეთი ნაგებობა რომ სპორტული ბაზების გვერდითაა, დაგვეწერწმუნეთ, ძალზე ბევრს ნიშნავს. ერთი სიტყვით, იმთა, ვისაც იგი დაეთმობა, ისღა დარჩენიათ, სასახელო სპორტული წარმატებებით გადაუხადონ ამაგი მათთვის მზრუნველ ადამიანებს.

ცხადია, ასეც იქნება, ამაში ეჭვიც არ გვეპარება, მაგრამ, რაკი სპორტსმენებს თავისად ეგულებათ იგი, ახლა ერთთავად იმის ფიქრში არიან, „ინემშენის“ ახალი შენობა მალე აიგოს, რომ ძველიც დროულად განთავისუფლდეს.

იმედი იმედად, მაგრამ როცა მშენებლობას ვეწვეთ, არათუ დაჩქარება, მშენებლობის განსაზღვრულ ვადებში დამთავრებაც კი საეჭვოდ მოგვეჩვენა. ამ დასკვნამდე თითქმის ორთვიანი დაკვირვებით მივედით. შენობა ჯერჯერობით მესამე ჩართულობადია (სულ 9 სართულიანი იქნება) ამოყვანილი. ნაგებობის ჩაბარება ნავარაუდევია 1988 წლისათვის. ამ წლის მიწურულისათვის გეგმით მხოლოდ 300 ათასი მანეთის სამუშაოები იყო გათვალისწინებული, რომლებიც ფაქტობრივად უკვე შესრულდა.

სულ ნაგებობისათვის გამოყოფილია 3 მილიონი მანეთი, გაისად კი ოთხასი ათასი მანეთია ასათვისებელი. ამგვარი ტემპით, რა თქმა უნდა, ნაგებობა დროულად ვერ ჩაბარდება. რა უნდა გაკეთდეს, რომ სამუშაოები დაჩქარდეს? პირველ ყოვლისა, საჭიროა გეგმების (ასათვისებელ თანხებში) კორექტირების შეტანა. ეს აუცილებელია თუნდაც იმისათვის, რომ ობიექტის ორ წელიწადში ჩაბარება რეალური გახდეს. „ინემშენის“ ტრესტის მე-4 სამმართველო (უფროსი — ა. მელაშვილი), რომელიც ამ მშენებლობაზე მუშაობს, მზად არის დააჩქაროს სამუშაოთა ტემპი, თუ კორექტირება მოხდება. ეფექრობთ, საკითხის მოგვარება შეიძლება, თანაც ისე, რომ ვადები ნავარაუდევზე მეტად შეეჩქარდეს. ამას ხომ ჩვენი სპორტის ინტერესებიც მოითხოვს!

თ. თოდუაშვილი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲠᲘᲜᲒᲔᲚᲗᲐ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲐ

„...საქართველოს ფარგლებში 322 სახეობის ფრინველია რეგისტრირებული. მათ შორის არიან მობინადრე, მობუდარი-გადამფრენი, მძლეავარი, მოზამთრე და იშვიათად შემომფრენი სახეობები. თუ გავითვალისწინებთ, რომ მთელ საბჭოთა კავშირში სულ 723 სახეობა გვხვდება, ჩვენი რესპუბლიკის შედარებით მცირე ტერიტორიისათვის 322 სახეობა საკმაოდ დიდი რიცხვია. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მეტად ნაირგვარი ბუნებრივი პირობებია“...

ეს სიტყვები ამოღებულია მირონ კუტუბიძის წიგნიდან — „საქართველოს ფრინველების სარკვევი“, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა.

მ. კუტუბიძის მიერ შედგენილი სარკვევი სრულყოფილია. ასეთი სახის ორნითოლოგიური ლიტერატურა ქართულად დღემდე არ გამოცემულა. ეს წიგნი მრავალმხრივ არის საინტერესო. დაწერილია მაღალ მეცნიერულ დონეზე, კარგი ქართულით და სავსებით ასახავს თანამედროვე ორნითოლოგიური მეცნიერების მონაცემებს როგორც ჩვენში, ისე საერთოდ.

ავტორი შესავალ ნაწილში იძლევა ფრინველების ზოგად დახასიათებას. აქ ბევრი საინტერესო მონაცემია მოყვანილი ფრინველების წარმოშობის, განვითარებისა და გავრცელების, მათი ანატომიური, მორფოლოგიური თუ ფიზიოლოგიური თავისებურებებისა, აგრეთვე ეკოლოგიური ჯგუფების შესახებ, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის, რომ ფრინველებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვთ. რომ არაფერი ვთქვათ მათ სარეწაო, სამონადირეო, ესთეტიკურ და მეცნიერულ მნიშვნელობაზე, ისინი დიდ როლს ასრულებენ სოფლის მეურნეობაში მავნე მწერებისა და თაგვისებრი მღრღნელების განადგურების საქმეში.

სარკვევის ძირითადი დანიშნულებაა ამა თუ იმ ფრინველის სისტემატიკური კუთვნილების დადგენა გახლავთ. ამ მხრივ სარეცენზიო წიგნი, თუ შეიძლება ითქვას, „საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა“ შესრულებული.

წიგნს ბოლოში დართული აქვს ფრინველების ქართულ და ლათინურ სახელწოდებათა საძიებელი.

წიგნის ავტორი დიდხანს იკვლევდა საქართველოს ორნითოფაუნას. ლიტერატურული მონაცემებისა და საკუთარი გამოკვლევების შედეგად დაადგინა ორნითოფაუნისტური შედგენილობა და დაგვირგვინა შესანიშნავი ორნითოლოგიური ნაშრომით. წიგნის რედაქტორს პროფ. ა. ჯანაშვილს უწერია: „მ. კუტუბიძის „საქართველოს ფრინველების სარკვევი“ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართული ორნითოლოგიური მეცნიერების განვითარებისა და წინსვლის საქმეში“.

გულსატკენია, რომ წიგნი მეტად მცირე ტირაჟითაა დასტამბული — სულ 2000 ცალი?! იგი ისე „გაქრა“, რომ მაღაზიებში გასაყიდად არავის უნახავს. მოთხოვნილება კი ძალიან დიდია. წიგნი უკეთესი ხარისხის ქაღალდზე რომ დაბეჭდილიყო, მაშინ მასში მოთავსებული 359 სურათიც უკეთესი ხარისხის იქნებოდა.

ჩვენი აზრით, ამ წიგნის რუსულად თარგმნა და გამოცემა სახელს გაუთქვამს ქართულ ორნითოლოგიურ მეცნიერებს საბჭოთა კავშირსა და უცხოეთში, ვინაიდან ქეშმარიტად საქართველოს ფრინველების ენციკლოპედიაა.

ალ. არაბული,
ზოოლოგიის ინსტიტუტის ეკსპერიმენტული ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ა. აბულაძე,
ამავე ინსტიტუტის ორნითოლოგი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66434

ᲑᲣᲜᲔᲑᲐ-ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ

„ᲩᲕᲔᲜ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲕᲐᲠᲗ—ᲘᲒᲘ ᲩᲕᲔᲜᲨᲘᲐ, ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘᲗ ᲛᲘᲡᲜᲘ ᲕᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲜᲘᲗ“

23

ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ

ახალი წელი, ბავშვები და ბუნება — ასეთია ჩვენი წერილის შინაარსი. და ეს ამბავი, ვფიქრობთ, ფრიად მნიშვნელოვანია, ვინაიდან „პატარაობისას მიღებული შთაბეჭდილება და შეყვარებული საგანი სამარის კარამდე საყვარელ საგნად რჩება“ (ვაჟა-ფშაველა).

ერთ-ერთი პირველთაგანი ახალი წლის ზეიმი ახლებურად რომ გაიაზრა და წარმართა თბილისის პირველი საშუალო სკოლა იყო.

ცოცხალი ნაძვის ხის მოჭრა, შინ თუ სკოლაში მიტანა და დადგმა მაშინ ჩვენში აკრძალული არ იყო. ხატვის მასწავლებელმა მარგო პოლონიკაშვილმა და მისმა მოწაფეებმა მაინც ნატვრის ხის დადგმა არჩიეს — უზარმაზარი ხელოვნური ხის ტოტზე ათასი ბავშვის ნახატებად და სათამაშოებად ქცეული ნატვრა-სურვილი დაკიდეს...

შარშან ბავშვებმა ნატვრის ხესთან ბუნების გასაჭირი, სკოლის ეზოში კი — ილიას და აკაკის ძეგლისა და ასწლოვანი ნაძვების გარშემო, ახალი ხანახობა წარმოადგინეს, რომელიც მთელი არდადეგების მანძილზე გრძელდებოდა.

ბუნებადაცვითი, ანუ ეკოლოგიური აღზრდა-განათლების თავდათავი სასკოლო სახელმძღვანელოებია. ამ ცოტა ხნის წინათ დედაენაში ეწერა: „ნაძვისხეო, ნაძვისხეო, ლამაზო და მშვენიერო, თბილ ოთახში მოგიწვიეთ — გაზრდილ ბოლმე, დედაქალაქის მინიატიურების სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა კი ფესვიან-ძიწიანად მოტანილი ნაძვის ხის დარგვის და გახარების რიტუალი დაიწყო...

„ნუკი მოვჭრით, ვახაროთ...“ — ერთხელ უკვე ითქვა („კომუნისტი“, 26, XII 1985) და ალარ გავიმეორებთ; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ წერილს მრავალი გამოეხმაურა, მათ შორის ომისა და შრომის ვეტერანი ემელიანე ბეშკენაძე (ქუთაისი): „ყოველი ახალი წლის შესახვედრად რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში კვლავ ნადგურდება ძვირფასი ნაძვის ხეები, — გვწერს იგი. — ჩემი მოწოდებაა ყველა გამორჩეულ ადგილის დავრგოთ ბუნებრივი ნაძვის ხე და საახალწლო დღესასწაულიც ღია ცისქვეშ გადავიხადოთ...“.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პატივცემულ ავტორს, მით უმეტეს, როცა საახალწლო დღესასწაულის ახლებურად მოწყობის მოწლის დადგომას ენდემურ მცენარეთა დარგვა-გახარებით აღნიშნავს.

ამომავალი მზის ქვეყანა საახალწლო ნაძვის ხის ციებ-ცხელებას არასდროს აჰყოლია. პირიქით, იაპონია ნაძვნარების გადასარჩენად მსოფლიოს იკებნას — ტოტებით, ფოთლებით და ყვავილებით დაწნული გამოსახულებით დღესასწაულის გამშვენიერების ხელოვნებას სთავაზობს.

და ბოლოს, სავლოსხმო ფაქტია: საახალწლო ნაძვისხის გამომგონებელი გერმანია დღეს უკვე მას, როგორც მავნე წესს, ებრძვის: ამ მოძრაობას ეგრეთ წოდებული „მწვანეების“, ანუ ეკოლოგიური მიმართულების პარტია (გფრ) უძღვება.

რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, ნაძვის დიდი ლაფნიჭამია მოედო და ერთსანტიმეტრიანი ხოჭოსაგან ნაძვნარების დაცვას მილიონობით გირვანქა სტერლინგი ხმარდება. საკარანტინო სამსახურს კი საახალწლო ნაძვის ხის დამზადება აკრძალული აქვს. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში ბუნებრივი ხე არ ჰყოფნით და ორივეს ხელოვნურის იმედი აქვთ.

დავუბრუნდეთ საქართველოს: ჩვენში ნაძვის ხე საახალწლო დღესასწაულის სიმბოლო არასდროს ყოფილა; ყველა კუთხეს თავისი მრავალფეროვანი და შინაარსიანი წეს-ჩვეულება აქვს, და რაოდენ გულდასაწყვეტია, როცა მავანსა და მავანს ნარგავებში ქურდულად ნაძვის ხის მოჭრის და შინ მიტანის გარდა ყველაფერი ავიწყდება...

საახალწლო დღესასწაულის წინ მცენარეულ საფარს. დიდ ზიანს აყენებენ ბრაკონიერები, და წელსაც მათს ასალაგმავად მეტყველების, ბუნების დაცვის და მინაგან საქმეთა სამსახურების ინიციატორ ფრონტი მოქმედებს. სახელმწიფო, საკოლმეურნეო თუ სხვა ნარგავებში ხის მომჭრელი ბრაკონიერია და კანონით ისჯება...

ახლა რესპუბლიკაში გაჩაღებულია საახალწლო ვაჭრობა. მარტო დეკემბრის თვეში გაიყიდება 100 ათასი ხელოვნური ნაძვის ხე (აქედან ორი მესამედი — ჩვენი ოსტატების ნახელავი), 34 ათასი თოვლის პაპა, მრავალი ათასი ფიფქია და უთვალავი ნაირფერი სამკაული.

საახალწლო დღესასწაულისათვის მზადებას ჩვენ ისევ და ისევ ეკოლოგიურ განათლებას ეუკავშირებო. გვწამს, ბაგა-ბაღი, სკოლა თუ სასწავლებელი ყოვლისშემძლეა — აღსაზრდელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანადგომა და გამოხნული მოქმედება ამკვიდრებს ადამიანისა და ბუნების ჰარმონიას. ამ საქმეს ემსახურება რესპუბლიკის ნორჩ ბუნების დამცველთა ნახევარმილიონიანი საზოგადოება, მრავალი ასეული სასკოლო, სატყეო, მწვანე და ცისფერი საგუშაგო, ნატურალისტთა და მოგზაურთა წრე, ფრინველის და ტყის **დღე, გარემოს** და ყვავილების დღესასწაული, გამოფენები და კონკურსები, ექსპედიციები და კონფერენციები...

მაშ, რა გვიშლის ხელს, მოდით, საახალწლო დღესასწაულს და ზამთრის არდადეგებს დედაბუნების დაცვა-გაჯანსაღების ფუნქციაც დავაკისროთ: ნუკი მოვჭრით ნაძვის ხეს, არამედ დავრგოთ, ვახაროთ, წინათ დარგულს მოვუაროთ, გარემო გავამშვენიეროთ, მთავარი საახალწლო ზეიმებიც ბუნების წიაღში გადავიხადოთ.

ᲒᲕᲐᲜᲯᲘ ᲛᲐᲜᲘᲐ.



სურათზე, რომელიც გუშინ გადაიღო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა, პატარების საახალწლო განწყობილებაა აღბეჭდილი: „ბავშვთა სამყაროს“ სათამაშოების სექციის გამყიდველი ქ. ჯოხაძე თავად ურჩევს ნორჩ მუშტრებს, რა შეიძინონ, რა უფრო მოუხდება მათს ნაძვის ხეს.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ᲞᲝᲡᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

სინქრონული ცურვა. სვერდლოვსკში დამთავრებულ საკავშირო თასის გათამაშებაში წარმატებით იასპარეზეს თბილისელებმა **ნინო გელაშვილმა და ლელა მამიაურმა.** წყვილთა შორის ქართველმა სპორტსმენებმა პირველობა არავის დაუთმეს და გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ავიდნენ. ერთეულებში უძლიერესი იყო მოსკოველი ოლგა ტარასოვა. ჯგუფურ ვარჯიშებში პირველ ადგილზე გამოვიდა მოსკოვის ნაკრები. მეორე ადგილზე დამკვიდრნენ უკრაინელები, მესამეზე — რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები.

ᲞᲝᲚᲝᲕᲘ. მოსკოვში დამთავრდა XX საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე. ასპარეზობის ბოლო ორ დღეს ასეთი შედეგები აღინიშნა: შეციფინეთი — 2:0, ფინეთი-კანადა — 2:3, სსრ კავშირი-ჩეხოსლოვაკია — 1:0. სსრ კავშირის ნაკრებმა 6 ქულა დააგროვა და მეთექვსმ